ანგარიში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, მუშაობას წარმართავს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნილებებიდან გამომდინარე.

მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური ახორციელებდა მუნიციპალიტეტისათვის საჭირო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის პროცესს. არსებული კანონმდებლობის შესაბამისად ქონების მოთხოვნის შესახებ საჭირო დოკუმენტაცია მომზადდა და საკითხი დაყენებულ იქნა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და იმერეთი-რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მომსახურების ცენტრში.

2015 წლის განვლილ პერიოდში მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა და დარეგისტრირდა სოფელ წყალაფორეთში მდებარე 953 $მ^2$ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სოფელ უბისაში 223, 6$მ^2$, 20 $მ^2$, და 27$მ^2$ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელიც მოთხოვნილ იქნა მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ უბისის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარედ ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. აღნიშნული მიწის ნაკვეთები გადაეცა მუნიციპალური განვითარების ფონდს სარგებლობის უფლებით უსასყიდლო აღნაგობის ფორმით 2 წლის ვადით. პროექტის დასრულების შემდეგ აღნიშნული ქონება გადმოეცემა მუნიციპალიტეტს საკუთრებაში. აგრეთვე დავარეგისტრირეთ დაბა ხარაგაულში, სოლომონ მეფის მეორე შესახვევში მდებარე 777$მ^2$ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც მოთხოვნილ იქნა ა(ა)იპ ხარაგაულდასუფთავების სამსახურის ტექნიკის განსათავსებლად. დავარეგისტრირეთ სოფელ ხიდარში 957 $მ^2$, სოფელ ფონაში-

522 $м^2$, სოფელ ხევში- 501 $м^2$ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელზეც აშენდა სარიტუალო შენობები. ფიზიკური პირების მოთხოვნის საფუძველზე დავარეგისტრირეთ სოფელ ჭარტალში 500 $м^2$ და დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის პირველ ჩიხში 30 $м^2$ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, შემდგომი პრივატიზების მიზნით.

დამატებითი ქონების სახით სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა და დარეგისტრირდა: დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქ.N7-ში მდებარე 37, 96 $м^2$ შენობის ფართი, რომლითაც ამჟამად სარგებლობს ხარაგაულდასუფთავების სამსახური, აგრეთვე დაბა ხარაგაულში, სოლომონ მეფის ქ. N90 ა-ში მდებარე 14465 $м^2$ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები N39, 9 $м^2$, N2 43,23 $м^2$, N3 68,58 $м^2$, N4 12, 82 $м^2$ ფართით (ჭაბურღილი), რომლის რეაბილიტაციაც მიმდინარეობს ამჟამად. ასევე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოეცა სოფელ ზვარეში მდებარე ყოფილი პიონერთა ბანაკის 12408 $м^2$ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა. დავარეგისტრირეთ სოფელ ვარძიაში ამბულატორიის შენობა-ნაგეობობა, სოფელ ვერტყვიჭალაში მდებარე 620 $м^2$ ხაზობრივი ნაგეობობა.

განხორციელდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემული ქონების, სოფელ მარელისის კლუბის, უბისის ყოფილი კლუბის შენობის, ვერტყვიჭალის კლუბის და მასზე დამაგრებული მიწის ფართობის დაზუსტება საჯარო რეესტრში.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში აგრეთვე გადმოცემული იქნა და რეგისტრაცია გავუკეთეთ საჯარო რეესტრში: სოფელ კიცხში 20385 $м^2$ და სოფელ ლახუნდარაში 211141$м^2$ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს.

სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტით გადავეცით: სოფელ ღორეშის ადმინისტრაციული შენობის პირველ და მეორე სართულზე მდებარე 4 ოთახი 127 $м^2$ ფართით სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ა(ა)იპ ხარაგაულის კულტურის ცენტრს კინოთეატრის შენობა წლის ბოლომდე,

ეროვნული აღსრულების ბიუროს დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქ. N19 ა-ში მეორე სართულზე 9,29 $მ^2$ ფართი, ა(ა)იპ ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებიას სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზურფრუქტის წესით არსებობის ვადით გადავეცით: სოფელ ბორითის, კიცხის, წყალაფორეთის, ვარძიის, ხიდრის, ზვარის, ვახანის, ლეღვნის საბავშვო ბაღები.

თხოვების წესით გადაეცა: ა(ა)იპ ,,ხარაგაულდასუფთავებას“ ავტომანქანა უაზ 3154, სახელმწიფო N LEO -632, ორი წლის ვადით, ა(ა)იპ ხარაგაულკეთილმოწყობას ავტომანქანა უაზ 3154 სახელმწიფო ნომრით: LEO-634, და შპს ,,ხარაგაულ-2011-ს“ ავტობუსი პაზ 672, სახელმწიფო ნომრით: WVV- 758, ავტობუსი პაზ 686, სახელმწიფო ნომრით: BIB-092, სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციას ავტომანქანა HONDA CR-V2,4 სახელმწიფო ნომრით: GE-111-BI.

მიმდინარე წელს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა დასუფთავების მოსაკრებლის ამოღებას. სამსახურის მიერ გაფორმებულია დასუფთავების გადასახადის 50 ხელშეკრულება საბიუჯეტო ორგანიზაციებთან, ინდმეწარმეებთან და ფიზიკურ პირებთან. სულ შემოსულია 4900 ლარი. დღემდე გაფორმებული ხელშეკრულებით წლის ბოლომდე ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში შემოსატანია 1200 ლარი.

განვლილ პერიოდში საიჯარო ქირიდან შემონატანი ადგილობრივ ბიუჯეტში შეადგენს 20332 ლარს.

ეკონომიკისა და ქონების მართვის

სამსახურის უფროსი

როინ გელაშვილი